ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 29 მარტის სხდომის

ოქმი № 2

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 24.

დღის წესრიგი:

1. ცვლილება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში
   მომხს: თ. დოლბაია
2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის დებულების დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
4. დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება
   მომხს: ს. დუნდუა
5. მიმდინარე საკითხები:
   მომხს: ი. კაჭკაჭიშვილი

მოისმინეს: 1.ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების კვოტით, ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რიგებიდან გასული გ. ჟორჟოლიანის ნაცვლად (რომელიც ინტერდისციპლინური დეპარტამენტის პროფესორი გახდა) მიმართულების სხდომაზე არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა

აზრი გამოთქვეს : ა. კუხიანიძემ, ნ. მაჭარაშვილმა, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა დამტკიცებულ იქნას ფაკულტეტის საბჭოს წევრად.

მოისმინეს: 2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, ხ. მაისაშვილმა, ვ. მელიქიძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის დებულების პროექტი დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს : ნ. დურგლიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ, ტ. ირემაძემ და სხვ.

დასამტკიცებლად წარმოდგენილმა საკითხმა დისკუსია გამოიწვია სხდომის მონაწილეთა შორის. კერძოდ, ნ. დურგლიშვილის აზრით, მულტიმედია ცენტრის მართვაში მონაწილეობას უნდა იღებდეს არა მხოლოდ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, არამედ სხვა დეპარტამენტებიც; ცენტრთან შექმნილი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ დანარჩენი დეპარტამენტების წარმომადგენლებიც. ამ აზრს მხარი დაუჭირა ი. კაჭკაჭიშვილმა. მისი თქმით, სოციოლოგებსაც სჭირდებათ აღნიშნული ცენტრის მომსახურება. ფაკულტეტის დეკანის, თ. დოლბაიას განმარტებით, მულტიმედია ცენტრის ტექნიკური რესურსი ამ დროისთვის არ ეყოფა მთელი ფაკულტეტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, თუმცა გეგმაშია რომ სამომავლოდ, განვითარების შემთხვევაში, მულტიმედია ცენტრი მოემსახურებ არა მარტო ფაკულტეტს, არამედ უნივერსიტეტსაც.

ნ. ჭალაგანიძემ ხაზი გაუსვა თავად ფაქტის მნიშვნელობას, რომ მულტიმედია ცენტრის ფაკულტეტისთვის გადმოცემა მისასალმებელი და სასარგებლო ამბავია.

ამავე დროს, მან შენიშნა ტექნიკური აღჭურვილობის ცვეთის, ამ რესურსის სიმწირისა და მისი განახლების საჭიროების თაობაზე. თანაც, ნ. ჭალაგანიძის თქმით, ეს რესურსი თავად მიმართულების საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს ამ ეტაპზე და ვერაფრით გასწვდება მთელი ფაკულტეტის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მულტიმედია ცენტრის მართვა კონკრეტულ კონპეტენციას მოითხოვს და მას სპეციალისტები უნდა ახორციელებდნენ.

ამ გამოსვლის პასუხად, ნ. დურგლიშვილმა საკითხის სამართლებრივ მხარეზე გააკეთა აქცენტი და პრინციპული პოზიცია გამოხატა მართვის სპეციფიკასთან დაკავშირებით. მისი აზრით, მართვა კონკრეტულ კომპეტენციას არ გულისხმობს და არ შეიძლება ერთეული მართავდეს მთელს.. ამ შემთხვევაში იურიდიული ნონსენსის მომსწრენი ვხდებით.. მან ასევე მოითხოვა, ეს თვალსაზრისი ოქმში აუცილებლად ასახულიყო.

დეკანმა, თ. დოლბაიამ კამათში მონაწილეებს თანხმობისკენ მოუწოდა, კიდევ ერთხელ განმარტა დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია, უპასუხა კითხვებს მისი სტრუქტურის, ბიუჯეტისა და მმართველი საბჭოს დაკომპლექტების პრინციპის შესახებ. ასევე აღნიშნა რომ, საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულის იურიდიული სტატუსის მქონე სტრუქტურული ერთეულის- მულტიმედია ცენტრის შემადგენლობაში მხოლოდ ორი ფაკულტეტის წარმომადგენლები შედიოდნენ.

საბოლოოდ, სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ როტაციის პრინციპით, ორ წელიწადში ერთხელ მულტიმედია ცენტრის მმართველ საბჭოს სხვა მიმართულებებიდანაც დაემატება ერთი წევრი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი შეარჩევს.

თ. დოლბაიამ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის დებულება (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა ს. დუნდუამ დასამტკიცებლად წარმოადგინა დოქტორანტთა თემებისა და ხელმძღვანელთა ნუსხა, ასევე თემის შეცვლისა და დაზუსტების შემთხვევები.

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წლების შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების ნუსხა, ასევე თემის სათაურის დაზუსტებისა და თემის შეცვლის კონკრეტული შემთხვევები.

მოისმინეს: 5. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ი. კაჭკაჭიშვილმა შეკითხვებით მიმართა ფაკულტეტის საბჭოს. კერძოდ:

1. 2018 წელს ფაკულტეტზე გამოცხადებული "სახელმძღვანელოების კონკურსში" გამარჯვებულთათვის დეკანის ბრძანებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხა იყო 5000 ლარი, საკონკურსო კომისიამ ი. კაჭკაჭიშვილის პროექტი დააფინანსა 4000 ლარით, ხოლო როცა მან მიმართა კომისიას დაფინანსების განაწილების ამგვარი გადაწყვეტილების ასახსნელად, მიიღო პასუხი, რომელიც მისი აზრით, არ იყო დასაბუთებული.

სხდომაზე ი. კაჭკაჭიშვილს განემარტა, რომ პროექტებისთვის განკუთვნილი მაქსიმალური თანხით დაფინანსდა მხოლოდ ერთი – ი. იაშვილის პროექტი, რომელიც საჭიროებს დიდძალი საველე სამუშაოების ჩატარებას მასალების მოსაძიებლად.

2. იაგო კაჭკაჭიშვილისა და ნინო დურგლიშვილის თქმით, მათ დახმარებისთვის მიმართა სტუდენტმა ბექა ჩოგოვაძემ. საუნივერსიტეტო პროგრამის - "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში ჩატარებული კონკურსის საფაკულტეტო კომისიამ არ ჩათვალა მისი მონაწილეობა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, როგორც სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა. პროფესორებმა მოითხოვეს პასუხი კომისიის ამგვარ გადაწყვეტილებაზე.

ასევე, სტუდენტმაც მიმართა ამავე შინაარსის განხცადებით ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო მანამდე კიდევ სხვა საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულებს. სტუდენტს არაერთგზის გაეცა პასუხი, როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერად.

პროფესორებს განემარტა, რომ ფაკულტეტზე მოქმედებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2016 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი № 6) დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესი

(https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/stipendiaaa%20new%202016-2017.pdf),

რომლის საფუძველზეც მოქმედებს საკონკურსო კომისია და არასდროს, არც ერთ წელს, კომისიას თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარებული კონფერენციები სტუდენტთა დაფინანსებისას არ გაუთვალისწინებია, იმის გამო რომ ისინი არ აკმაყოფილებენ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების მინიმალურ წინაპირობებს.

3. წლების მანძილზე ტარდებოდა სტუდენტთა გამოკითხვა, რომლის შედეგები რა ხანია არ მიგვიღია. გთხოვთ მიპასუხოთ, რატომ არ გვიგზავნით სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს?

კითხვაზე პასუხი გასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ: "2017 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში იმდენად მცირე რაოდენობის სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომ შედეგებში ტენდენციებიც კი არ ჩანდა, ხოლო რაც შეეხება 2018 წლის გამოკითხვას, მონაცემები მუშავდება და ცენტრალური ხარისხის სამსახური მალე გადმოგვცემს შედეგებს, რომლებიც დაეგზავნება ყველა მიმართულებას ".

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის
პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 15 მარტს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევნები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრად ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა.

წერილს თან ახლავს სხდომის ოქმი.

სხდომის თავმჯდომარე

პროფესორი

16. 03. 2018

მალხაზ მაცაბერიძე

5199/30 3
16 03 018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის აკადემიური
პერსონალის 2018 წლის 15 მარტის

სხდომის ოქმი № 2

სხდომას დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის 11 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი:

პროფესორები: მალხაზ მაცაბერიძე, ალექსანდრე კუხიანიძე
ასოცირებული პროფესორები: სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე;
ასისტენტ-პროფესორები: ავთანდილ ტუკვაძე, ვალერიან დოლიძე, თამარ ქარაია

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, ხოლო მდივნად - ასისტენტ პროფესორი თამარ ქარაია.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევნები

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის, პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის ინფორმაცია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევის პროცედურების შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საარჩევნო პროცესი. მალხაზ მაცაბერიძემ სთხოვა საბჭოს წევრებს, დაესახელებინათ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრის თანამდებობაზე კანდიდატურები. პროფესორმა ალექსანდრე კუხიანიძემ დაასახელა ასოცირებული პროფესორის სალომე დუნდუას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარემ ითხოვა, განესაზღვრათ არჩევნების ჩატარების სახე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ; ასოცირებულმა პროფესორმა ზვიად აბაშიძემ; ასისტენტ პროფესორებმა: ვალერიან დოლიძემ და ავთანდილ ტუკვაძემ.
პროფესორმა ალექსანდრე კუხიანიძემ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს არჩევნების ღია წესით ჩატარებას. მოცემულ მოსაზრებას დაეთანხმნენ სხდომის დამსწრე წევრებიც.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრის კანდიდატურის არჩევა განხორციელდეს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სალომე დუნდუას კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის 8 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
მოწინააღმდეგე - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრად ხმათა სიითი უმრავლესობით არჩეული იქნა ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა.
2. ეთხოვოს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, თამარ დოლბაიას, დაამტკიცოს ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრად.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

სხდომის მდივანი

ასისტენტ პროფესორი თამარ ქარაია

29 მარტი, 2018 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

12. ნინო ჭალაგანიძე
13. ხათუნა მაისაშვილი
14. მარი წერეთელი
15. მანანა შამილიშვილი
16. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

17. ნინო პავლიაშვილი
18. გიორგი გოგსაძე
19. ვაჟა ლორთქიფანიძე
20. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

21. რევაზ ჯორბენაძე
22. ნოდარ ბელქანია
23. ზურაბ აბაშიძე
24. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

25. ალისა სულამანიძე
26. ანნა ჯაყელი
27. მარიამ ლაცაბიძე
28. ელენე ლომსაძე
29. ანნა ცქიტიშვილი
30. გიორგი გოგატიშვილი
31. დიმიტრი სანაია
32. ტარიელ ირემაძე

დანართი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს **თამარ დოლბაიას**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **რევაზ ჯორბენაძის**

მიმართვა

ქალბატონო თამარ,
წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი N 2, 29 მარტი, 2018 წელი) დამტკიცებულ საკითხებს და საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს,
კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამა:

1. საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართულ-რუსული) (დადგენილება #57/2011, დანართი 35)

- საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება (ხელმძღვანელი ხათუნა მაისაშვილი)

სამაგისტრო პროგრამები;

2. სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 62)

- ხელმძღვანელის დამატება:
- საველე პრაქტიკა რეგიონალურ ტურიზმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) - დაემატა ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე.

3. სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია“ (დადგენილება #42/2014 , დანართი 219)

- ლექტორის დამატება:

- „დემოგრაფიული პოლიტიკა“, დაემატა ასოცირებული პროფესორი გიორგი მელაძე.

4. სამაგისტრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #57/2011 , დანართი 59)

- ცვლილება კურიკულუმში:

- არჩევითი კრედიტები განისაძღვრა 25 კრედიტით ნაცვლად 35-სა, ხოლო თავისუფალი კრედიტები განისაზღვრა 10 კრედიტით.

5. . სამაგისტრო პროგრამა „სოციოლოგია“ (დადგენილება # 57/2011 , დანართი 60)

- საგნის დამატება:

- „დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში“, არჩევითი, 30/15. ლექტორი - პროფესორი მარინა მუსხელიშვილი

6. სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 256)

- პროგრამის საგნად ჩასმა:

- „პროექტის მართვა“ ლექტორი, ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე.

დანართი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისა და იმ სტუდენტების მიმართ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომლებიც სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებებს ეუფლებიან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკული სასწავლო რესურსის – მულტიმედია ცენტრის არსებობას.

მულტიმედია ცენტრის ბაზაზე არსებული ტექნიკური და ადამიანური რესურსის კომპილაცია სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დაეუფლონ თანამედროვე მულტიმედიურ ტექნოლოგიებს და მომზადებული შევიდნენ როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე. ასევე, იგი მედიის მკვლევრებისა და ჟურნალისტიკის დარგის სპეციალისტებისათვის წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ წყაროს.

მულტიმედია ცენტრი აერთიანებს ინტერნეტ-ტელევიზიის, ინტერნეტ-რადიოს, ინტერნეტ-გაზეთი/ჟურნალისა და სოციალური მედიის ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) მულტიმედია ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. მულტიმედია ცენტრის მიზნები:

ა) ევროპული სტანდარტის პრაქტიკულ ელემენტზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობა და განვითარება;

ბ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და უნივერსიტეტის პროფილური ფაკულტეტების სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფა;

გ) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მასალების, გზამკვლევებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

დ) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საქმიანობის პოპულარიზაცია მულტიმედიურ პლატფორმაზე.

2. მულტიმედია ცენტრის ამოცანებია:

ა) ცენტრის რესურსის ჩართვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში სწავლების თანამედროვე და ეფექტური შესაძლებლობების გამოყენებისთვის;

ბ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეწყობა (სალექციო კურსებზე დაფუძნებული მედიაპროდუქციის შექმნა, სამეცნიერო და კვლევითი პროცესების ვიზუალიზება და სხვა);

გ) ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო–ტელე რეჟისურის მიმართულების სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ხელშეწყობა;

დ) სტუდენტთა ჩართვა ცენტრის საქმიანობაში;

ე) საპარტნიორო და დონორ ორგანიზაციებთან, მედიაორგანიზაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა;

ვ) მედიაარქივის შექმნა, განახლება და განვითარება;

ზ) საკუთარი ვებგვერდის ადმინისტრირებისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება;

თ) საგანმანათლებლო – პრაქტიკული ტრენინგების ორგანიზება.

3. მულტიმედია ცენტრის ფუნქციები:

1. მულტიმედია ცენტრს თავისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქვს შემდეგი ფუნქციები:

ა) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაცია;

ბ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებებისთვის სპეციალური მედიაპროდუქციის მომზადება;

4. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3.მულტიმედია ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის მართვის ორგანოებია ცენტრის დირექტორი და ცენტრის სამეურვეო საბჭო.
2. ცენტრის საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის ცენტრის სამეურვეო საბჭო (შემდგომში - ,,საბჭო").

3. საბჭოს ქმნის ფაკულტეტის დეკანი. საბჭო შედგება 9 წევრისაგან, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის მიერ, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით, როტაციის პრინციპით. როტაცია ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

4. საბჭოს შემადგენლობა კომპლექტდება შემდეგი წესით: 4 წევრი შეირჩევა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულების აკადემიური პერსონალიდან, ხოლო 1 წევრი – ტელე–რადიო ლაბორატორიის ტექნიკური პერსონალიდან (მიმართულება სავარაუდო კანდიდატურათა სიას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს) დეკანის თანხმობით; 1 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების საგანმანათლებლო მიმართულების აკადემიური პერსონალიდან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით; 1 – ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან დეკანის მიერ; 2 სტუდენტი – შეირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და გამორჩეული პრაქტიკული უნარების საფუძველზე.

5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა:

ა) ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ) აკადემიური თანამდობობის მქონე საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება ვადამდე იმ შემთხვევაში, თუკი იგი ვერ გაივლის აკადემიური პერსონალისთვის გათვალისწინებულ შესარჩევ კონკურსს;

დ) საბჭოს სტუდენტ წევრს უფლებამოსილება უწყდება იმ შემთხვევაში, თუკი მას უწყდება/ უჩერდება სტუდენტის სტატუსი;

6. უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის ნაცვლად ახალი წევრის მიღება ხდება მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით;

7. საბჭოს წევრის არჩევა შეიძლება ორი ვადით ზედიზედ;

8. საბჭოს წევრობა ანაზღაურებადი არ არის.

მუხლი 4. ცენტრის დირექტორი

1. ცენტრის დირექტორს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებითა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. ხელმძღვანელობს და წარმართავს მულტიმედია ცენტრის საქმიანობას;

3. ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

4. უშუალოდ ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანისა და მულტიმედია ცენტრის საბჭოს წინაშე;

5. წარმოადგენს ცენტრის განკარგულებაში არსებულ ქონებაზე (მათ შორის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი პროფილური ქონება) მატერიალურად პასუხისმგებელ პირს. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, ქონების გაცემა სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კონტროლდება უშუალოდ ცენტრის დირექტორის მიერ და ხდება სტუდენტის განცხადებისა და სტუდენტის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

6. მულტიმედია ცენტრის საბჭოსთან კოორდინირებით, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ცენტრის სტრატეგიული განვითარების გეგმას;

7. დირექტორის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ტექნიკური მენეჯერი ცენტრის დირექტორის დავალებით.

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილება

1. შეიმუშავებს პრიორიტეტებს ცენტრის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის;

2. ითანხმებს ცენტრის დირექტორის დეკანის მიერ წარდგინებას, სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების შესახებ;

3. კოორდინაციას უწევს:

ა) ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო მიმართულების სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების საგანმანათლებლო მიმართულების მიერ მულტიმედია ცენტრის პროექტების პრაქტიკულ განხორციელებას;

ბ) სტუდენტთა ეფექტიან ჩართვას ცენტრის საქმიანობაში;

გ) ცენტრის ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი პროცედურების განხორციელებას;

4. პასუხისმგებელია ამ დებულებით, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელებაზე.

მუხლი 6. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომა იმართება თვეში ერთხელ მაინც.

2. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან.

3. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ, ან ცენტრის დირექტორის ინიციატივით. საბჭოს წევრებს სხდომის ჩატარების შესახებ უნდა ეცნობოთ სხდომამდე ორი დღით ადრე. საბჭო უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

4. საბჭოს გადაწყეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების თემები და ხელმძღვანელები:

პოლიტიკის მეცნიერება

1. სადაღაშვილი მიხეილი -„პოლიციის რეფორმა და დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა (21.12. 2017. ოქმი # 5)
2. კახიშვილი ლევანი - „პარტიული კონკურენციის ბუნება პოსტსაბჭოთა ჰიბრიდულ რეჟიმებში: საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის შედარებითი ანალიზი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია (21.12.2017. ოქმი #5)
3. აბაშიძე ლევანი - „მმართველობის ეფექტურობა და დემოკრატია: თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი (21.12.2017. ოქმი #5);
4. ზედგინიძე ნათია - „ეთიკის კოდექსების მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში (საქართველოს მაგალითი); სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (21.12.2017. ოქმი #5);
5. ორჯონიკიძე თამარი - „პოლიტიკური მითები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში“ - სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (21.12.2017. ოქმი #5);

სოციოლოგია

1. გუგუშვილი თემური- „მოსახლეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია რურარულ საქართველოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი (21.12.2017. ოქმი #5);
2. ონისე ზივზივაძე - „დემოკრატიის ინსტიტუტები და მათი კავშირი განვითარების პოლიტიკასთან (საქართველოს მაგალითი)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი; (29.03.2018. ოქმი #1)

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

1. გვარამია გერმანე - „ტერორიზმის გამომწვევი კონფლიქტების ანალიზი, მათი პრევენციის მექანიზმები და საქართველო"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე (21.12.2017. ოქმი #5);
2. ლეჟავა როსტომი - „კონფლიქტები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას და მედიაციის როლი მათ მოგვარებაში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე (21.12.2017. ოქმი #5);
3. გელა გაბუნია - „კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები საქართველოში (აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში) 2008 წლის შემდეგ"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე; (29.03.2018. ოქმი #1)
4. ანუკი აბრამიშვილი - „კონფლიქტების ტრანსფორმაცია სკოლის მოსწავლეებს შორის მედიაციის საშუალებით"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (29.03.2018. ოქმი #1)
5. მარიამ ჭანკოტაძე - „ქალთა ჩართულობა პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებაში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე; (29.03.2018. ოქმი #1)
6. მედეა ტურაშვილი - „კოლექტიური მობილიზაცია, როგორც ძალადობრივი კონფლიქტების წამახალისებელი ფაქტორი პოსტსაბჭოთა საქართველოში" სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე; (29.03.2018. ოქმი #1)

საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. სალუქვაძე გვანცა - „ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური დარგების ურთიერთკავშირის გეოგრაფიული ასპექტები: საქართველოს მთიანი რეგიონების მაგალითი"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი (21.12.2017. ოქმი #5);
2. ჯანჯღავა ანა - „საქართველოს რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის სივრცითი შედეგები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე (21.12.2017. ოქმი #5);

ურბანისტიკა

1. ალფაიძე ლევანი - „თბილისის საქალაქო პარკები, როგორც ურბანული, სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების ფაქტორი"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ სალუქვაძე (21.12.2017. ოქმი #5);

2. ნემსაძე ოთარი - „სივრცითი დაგეგმვა და უფლებრივი ზონირება - ახალი ინსტრუმენტი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ქალაქგეგმარებაში (საქართველოს მაგალითზე); სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ სალუქვაძე (21.12.2017. ოქმი #5);

მასობრივი კომუნიკაცია

1. ბოკუჩავა მანონი - „ოკუპირებული რეგიონების მედიის სარედაქციო პოლიტიკა"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე (21.12.2017. ოქმი #5);
2. ბრეგვაძე ნათია - „კულტურული იმპერიალიზმი და ქართული მედია"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი (21.12.2017. ოქმი #5);
3. მაია შამანაური - „სირიის კრიზისის „მედიური რეპრეზენტაცია ინფორმაციული ღირებულებების ჭრილში. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია „რუსთავი - 2" - ის მაგალითზე; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი; (29.03.2018. ოქმი #1)

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

1. კვაჭანტირაძე რუსუდანი - „ქოუჩინგის პროგრამის ადაპტაცია ადგილობრივ ორგანიზაციებში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (21.12.2017. ოქმი #5);
2. მარიამ ჩოჩია - „შიდა და გარე კონსულტირების განსხვავებული ეფექტურობა ორგანიზაციის განვითარებაში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (21.12.2017. ოქმი #5);
3. დავითაძე ლაშა - „ლიდერობის სტილის სპეციფიკა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (21.12.2017. ოქმი #5);
4. დათიაშვილი ეკა - „თანამშრომელთა მოტივაცია და სამედიცინო ორგანიზაციების ეფექტურობა საქართველოში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (21.12.2017. ოქმი #5);
5. ბარაბაძე გვანცა - „ქართველი მილენიალების ლიდერობის სტილი"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია (21.12.2017. ოქმი #5);
6. კარდანახიშვილი ანნა - „ცივი და ცხელი კონფლიქტების გავლენა ორგანიზაციის ეფექტურობაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (21.12.2017. ოქმი #5);

დემოგრაფია

1. შამუგია მაია - „საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე და ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე (21.12.2017. ოქმი #5);
2. კაპანაძე თინათინი - „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე (21.12.2017. ოქმი #5);

კულტურის და მედიის სოციოლოგია

1. ბექაური თეონა - „ვიზალიბერალიზაცია ქართულ მედიაში"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი და ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე (21.12.2017. ოქმი #5);

2016-2017 წლის შემოდგომის სემესტრის ჩარიცხვა

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

1. ლელა მელიქიშვილი - „ენერგომატარებლების როლი აშშ-ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონფლიქტებში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე (29.03.2018. ოქმი #1);

თემის სათაურის შეცვლა

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

ლევან კიკვიძე - მე-6 სემესტრის დოქტორანტი; ძველი სათაური „მედიაციის ისტორიული პრაქტიკა" შეეცვალოს ახალი სათაურით: „მედიაციის პრაქტიკა სვანეთის მაგალითზე" (სემესტრი 6)სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე; მეორე ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (29.03.2018. ოქმი #1)

თემის შეცვლა

საზოგადოებრივი გეოგრაფია

დავით სიდამონიძე - მე-5 სემესტრის დოქტორანტი; ძველი თემა: „საქართველოს სასოფლო დასახლებების ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი“ შეეცვალოს ახალი თემით: „საქართველოს რკინიგზა, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორი“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია; (29.03.2018. ოქმი #1)